ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და ა(ა)იპ ,,ახალგაზრდული უმაღლეს საბჭოს"
შორის

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი, თავმჯდომარე - - ავთანდილ ბერიძის სახით და ა(ა)იპ ,,ახალგაზრდული უმაღლესი საბჭოს" წარმომადგენელი, ხელმძღვანელი - გიგა ფარტენაძის სახით, ხელმძღვანელობენ ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპით, გამოხატავენ თანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

- ადასტურებენ რა საყოველთაოდ აღიარებული ურთიერთთანამშრომლობის პრინციპების მხარდაჭერას; გამოხატავენ რა ურთიერთგაგებას, სურთ რა მისცენ საშუალება ყველა დაინტერესებულ ახალგაზრდას სრულად გამოიყენოს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობები; ანიჭებენ რა დიდ მნიშვნელობას აღნიშნულ სტრუქტურათა თანამშრომლობის პრინციპებს და აცნობიერებენ რა კონსულტაციებისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას, რომელიც განამტკიცებს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მხარეებს შორის ურთიერთობებს და თანამშრომლობის პრინციპების დაცვის აუცილებლობას ა(ა)იპ ,,ახალგაზრდული უმაღლესი საბჭოს" პროგრამების და პროექტების განხორციელება-
- განვითარებისა და შედეგების მიღების ხელშეწყობის მიზნით შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანია:

1.1. ახალგაზრდების სამოქალაქო-საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობის გაძლიერების, ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის, კვალიფიციური ახალგაზრდების მომზადების საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ითანამშრომლონ რეგიონის ახალგაზრდების პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლებისათვის, გლობალიზაციის გამოწვევების პირობებში საზოგადოებრივ ასპარეზზე კონკურენტული პოზიციების მოსაპოვებლად;

2. მემორანდუმის მიზანია:

2.1. კომპეტენციის შესაბამისად, ხელი შეუწყონ ქვეყნის წინაშე არსებული პოლიტიკურ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ანალიზსა და წინადადებების შემუშავებაში აქტიური მოქალაქეობრივი და პროფესიული პოზიციის გამოხატვასა და რეალიზაციაში ახალგაზრდების ჩართულობას;

2.2. უზრუნველყონ არსებულ სამუშაო პროცესში ახალგაზრდების პრაქტიკული ჩართულობა;

2.3. მოაწყონ ერთობლივი პროექტები, კონფერენციები, საზაფხულო სკოლები, სემინარები, ტრენინგები და მუშა შეხვედრები, განახორციელონ სხვადასხვა პროგრამები თანამედროვე აქტუალურ პრობლემებზე.

3. მხარეების ინტერესების გათვალისწინებით ითანამშრომლონ სხვა აქტუალურ საკითხებში:

3.1. აღნიშნული საკითხების რეალიზაციის მიზნით შესაძლებელია მხარეებმა დამატებით, ერთობლივად შეიმუშაონ ღონისძიებათა პროექტი. კონკრეტულ ღონისძიებებს, თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით მხარეები განსაზღვრავენ ცალკეული შეთანხმებების ფარგლებში;

3.2. მემორანდუმის რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის, თანამშრომლობის მიმდინარეობისა და შედეგების განხილვის მიზნით შესაძლებელია სამუშაო შეხვედრების ორგანიზება მხარეებს შორის.

4. მემორანდუმის მოქმედების ვადა:

4.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარე არ მოითხოვს მის გაუქმებას;

4.2.მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად.

მხარეთა რეკვიზიტები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე
დაბა ჩაქვი, საქართველო
მის:მეგენეიშვილის ქ.25
ტელ: (0322) 28 54 33
ელ ფოსტა: contact@sca.ge

ა(ა)იპ ,,ახალგაზრდული უმაღლესი საბჭოს"
ხელმძღვანელი გიგა ფარტენაძე
ტელ: +995 551 575729
მის: გოგებაშვილის 58

ელ.ფოსტა: adjarianyouthsupremecouncil@gmail.com

ავთანდილ ბერიძე

გიგა ფარტენაძე

---

13. 05. 14.